ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3062295

ნომერი: AR1472481

თარიღი : 23.01.2017

გაცემის თარიღი : 30.01.2017

გაცნობის თარიღი : 31.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა გრიგალავა პ/ნ 29001007787
- თბილისი თემქა XI მ/რ I კვ. კორ. 3 ბ. 72

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1446329
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.08.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 06/01/2017 წლის №ბ-444560/07 ბრძანებაში ექსპლუატაციაში უარის თქმის შესახებ აღნიშნულია, რომ:

- "ა-ე" ფასადზე განთავსებულ აივნებზე გაუქმებულია ყრუ კედლები;
- +34,90 ნიშნულზე "გ-დ" მონაკვეთში გაუქმებულია აივანი და აგზრდილია საცხოვრებელი 3,5 კვ.მ-ით; "ბ-ა" მონაკვეთში სემცირებულია აივნის სიგანე და გაზრდილია საცხოვრებელი ფართი 15 კვ.მ-ით;
- "ა-გ" მონაკვეთში ბრტყელი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ტერასა და გაზრდილია სიგრძე;
- ნაწილობრივ დასასრულებელია სამღებრო სამუშაოები;
- ტერიტორიაზე მოწყობილია ხარაჩო;
- გაუქმებულია გამწვანების ზონები;
ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურითვის განხორციელებული მშენებლობის დადასტურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტი, შესაბამისად, საჭიროა:
- წარმოადგინოთ კ2 და კ3 კოეფიციენტების საანგარიშო კროკები არსებული სიტუაციისა და ანაზომი ნახაზების შესაბამისად;
- დაიცვათ მიჯნის ზონა მომიჯნავე საკადასტრო ერთეულის მიმართ (მოიყვანეთ შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში ან/და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ მომიჯნავე მიწის მესაკუთრეთა თანხმობ(ებ)ა მიჯნის ზონაში მოწყობილ აივნებთან/ტერასასთან დაკავშირებით);
- დაასრულოთ სამღებრო სამუშაოები და მოხსნათ ხარაჩო;
აქედან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.